# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

16 ნოემბერი ხუთშაბათი 2023 წელი №48 (9310) ფასი 40 თეთრი


## ერის დიდი გამარჯვება!

## ევროკომისიამ დადებითი შეფასება მისცა საქართველოს!



ევროკომისიამ დადებითი შეფასება მისცა საქართველოს და რეკომენდაციას უწევს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის დამსახურებული სტატუსის მისაღებად, – ამის შესახებ განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა**.

მთავრობის მეთაური ევროპული საბჭოს პრეზიდენტს, **შარლ მიშელს**, ევროკომისიის პრეზიდენტ **ურსულა ფონ დერ ლაიენს** და გაფართოების საკითხებში ევროკომისარ **ოლივერ ვარჰეის** მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის.

მხარდაჭერისთვის მადლობელნი ვართ და ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობისკენ მიმავალ გზაზე სვლას სიხარულით ვაგრძელებთ, – აღნიშნა პრემიერმა.

## ვულოცავ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს!



მადლობა მინდა გადავუხადო ევროკომისიას სამართლიანი გადაწყვეტილებისთვის საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ, – ამის შესახებ „ქართული ოცნების" თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე** ევროკომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სოციალურ ქსელში წერს.

ირაკლი კობახიძე იმედოვნებს, რომ საქართველოსთვის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი იქნება 15 დეკემბერს, ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებაც.

– 20 თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ კანდიდატის სტატუსის მისაღებად განაცხადი შეიტანა. ამ 20 თვის განმავლობაში, ქვეყანამ მრავალი სირთულე გამოიარა – სტატუსის მიღების საბოტაჟით დაწყებული, რევოლუციის მცდელობით დამთავრებული. დარწმუნებული ვარ, ევროპული საბჭოს 15 დეკემბრის საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოში პოლიტიკური პროცესების დერადიკალიზაციას შეუწყობს ხელს.

ევროკომისიის დღევანდელი გადაწყვეტილება, პირველ რიგში, არის ქართველი ხალხის დამსახურება, რომელმაც გასული 20 თვის მანძილზე უპრეცედენტო სიბრძნე გამოავლინა. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ქართველი ხალხის დამსახურებაა, რომ ჩვენმა ქვეყანამ მშვიდობა და პოლიტიკური თუ ეკონომიკური სტაბილურობაც შეინარჩუნა და ახლა უკვე, კანდიდატის სტატუსსაც ღირსეულად მიიღებს.

მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს – ყველა პოლიტიკოსსა და საჯარო მოსამსახურეს, რომელმაც ევროკომისიის დღევანდელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფაში თავისი წვლილი შეიტანა. მადლობას ვუხდი ევროკომისიის თითოეულ წარმომადგენელს, რომელიც ამ პროცესში საქართველოს გულშემატკივრობდა და რომელმაც ჩვენი ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას დაუჭირა მხარი.

ევროკომისიის გადაწყვეტილებას ვულოცავ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს!

## სამიტი 100-ზე მეტი დელეგატის მონაწილეობით



2023 წლის 7-8 ნოემბერს ბორჯომში მიმდინარეობდა დაცული ტერიტორიების პირველი საერთაშორისო სამიტის ფარგლებში, „World Café" სესიები მიმდინარეობს

სამიტს მსოფლიოს 20-მდე ქვეყნიდან 100-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა. სამიტის მეორე დღეს, „World Café" სესიების ფორმატში, მთავარი მომხსენებლები კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის ცენტრის ასოციაციის დირექტორი **ერიკ ჰიკსი** და კოლორადოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის ცენტრის უფროსი მრჩეველი **ჯიმ ბარბორაკი** იყვნენ.

აღნიშნული ტიპის სესიების ფარგლებში, სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციის წევრებსა და საქართველოს დაცული ტერიტორიების, ასევე გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ სიღრმისეულად განეხილათ ეროვნული პარკების განვითარების საკვანძო საკითხები და არსებული გამოწვევები.

სამიტის მონაწილეები სესიებზე განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების, როგორებიცაა ადგილობრივი თემის როლი დაცული ტერიტორიების ეფექტიან მართვაში, ეროვნული პარკების დაცვა და კანონაღსრულება, მდგრადი ტურიზმის განვითარება, ფინანსური მდგრადობა, სისტემები და ტექნოლოგიები და ბიომრავალფეროვნების აღდგენის საკითხები. „World Cafe" სესიების ფარგლებში თემატურ ჯგუფებად დაყოფილ მონაწილეებს შორის მოხდა იდეების გენერირება, რომელიც ერთმანეთს წარუდგინეს.

„World Café" სესიების დასრულების შემდეგ, მონაწილეებმა მოინახულეს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ქვაბისხევის მონაკვეთი, სადაც გაეცვნენ პარკის უნიკალურ ბიომრავალფეროვნებას და ტექნოლოგიებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ეროვნული პარკის დაცვა.

დაცული ტერიტორიების პირველი საერთაშორისო სამიტი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით მიმდინარეობდა.

### ინტერვიუ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერთან

## საქართველოს მოქალაქეობა მარტო უფლება არაა, დიდი ვალდებულებაცაა!

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყოველწლიურად მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება. მათ შორის არც 2023 წელია გამონაკლისი. რამდენიმე პროექტის განხორციელება დღესაც მიმდინარეობს და ზოგიერთი მათგანი გარდამავალი პროექტების ნუსხაშია.**

**რით იყო განვლილი წლები მნიშვნელოვანი მუნიციპალიტეტის მასშტაბით და პირადად მერისთვის? ამ დღეებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ოთარ არზოლიშვილს ვესაუბრეთ:**



**● ბატონო ოთარ, თქვენ წლების მანძილზე იყავით ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, ორი წელია მუნიციპალიტეტის პირველი პირი – მერი ბრძანდებით, როგორ შეაფასებთ განვლილ წლებს, კმაყოფილი ხართ მუშაობით თუ გრძნობთ დაუკმაყოფილებლობის განცდას?**

– 2017 წელს ამირჩიეს მაჟორიტარ დეპუტატად, ვიყავი საკრებულოს დეპუტატი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი და ორი წელია მერის პოზიციას ვიკავებ. რაიონის მასშტაბით საკმაოდ რთული გამოწვევები დაგვხვდა, თუმცა ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ქვეყანა ვითარდება, ყოველწლიურად ახალი გამოწვევებია და ის ძირითადი დაპირებები, რაც მოსახლეობის მიმართ იყო მოვაგვარეთ, თუმცა მოსაგვარებელი პრობლემები კიდევ ბევრი რჩება. ვხედავთ გარკვეული სახის ხარვეზებსაც და ვცდილობთ მათ გამოსწორებას, რათა ვიყოთ მეტად ოპერატიულები და კიდევ უფრო მეტად მომზადებულები შევხვდეთ ამა თუ იმ გამოწვევას.

**● ადგილობრივი ხელისუფლების სათავეში თქვენი ყოფნის პერიოდში ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რომელმაც ნამდვილად დაამშვენა ჩვენი ქალაქი. თქვენ რომელ ობიექტებს გამოყოფდით?**

– მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყოველწლიურად ათიდან თორმეტ კილომეტრამდე შიდა საუბნო გზა იგება, პერიოდულად ხორციელდება დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია, რომელიც ცვეთას განიცდის, მინდა აღვნიშნო, რომ განახლებული რეგიონების ფარგლებში არსებულ პროექტებს შორის მნიშვნელოვანია კოსტავას ბაღის რეაბილიტაცია, ასევე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლებიც არ არის მხოლოდ ფასადური და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე ვახორციელებთ ამ პროექტებს. ახლაც გრძელდება მტკვრის ნაპირსამაგრი კედლის აღდგენის სამუშაოები, ასევე ახალქალაქისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი ზონის სოფლებთან დამაკავშირებელი გზის მოწესრიგება, რომელიც საკმაოდ დიდი ბიუჯეტის მქონე პროექტია და ამავდროულად არის რთულად შესასრულებელიც, გამომდინარე კლიმატური პირობებიდან. ასევე მუნიციპალიტეტის მასშტაბით


**(გაგრძელება მეორე გვერდზე)**


## ბაკურიანში პარკის რეაბილიტაცია დასრულდა

**პროექტი** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა და მისმა ღირებულებამ 10.2 მილიონი ლარი შეადგინა.

პარკის საერთო ფართობი 8 ჰექტარია. ტერიტორია დაიყო სხვადასხვა ტიპის – სპორტულ, კულტურულ და რეკრეაციულ ზონებად. რეკრეაციულ პარკში შეიქმნა ისეთი ახალი სივრცეები, რომელიც ბევრად უფრო კომფორტულს გახდის პარკში დროის გატარებას, როგორც ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, ისე დაბის მოსახლეობისა და სტუმრებისთვის.





პარკის ინფრასტრუქტურა სრულად მორგებულია შშმ პირებისა და საბავშვო ეტლით მოსარგებლე მშობლების საჭიროებებზე.

დაბა ბაკურიანში დასრულებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები კურორტს, წელიწადის ოთხივე სეზონზე, ვიზიტორებისა და სტუმრებისთვის უფრო მეტად კომფორტულს გახდის.

გარდა ამისა, მუნიციპალური განვითარების ფონდი დაბა ბაკურიანში 150 ბავშვზე გათვლილ საბავშვო ბაღს აშენებს.

ასევე, დასრულების ეტაპზეა პრემიერ მინისტრის მიერ ინიცირებული

პროგრამა „განახლებული რეგიონები" ფარგლებში მიმდინარე პროექტები, რომლის სამუშაოები, მასშტაბურობიდან გამომდინარე, ორ ეტაპად განხორციელდა. პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები უკვე დასრულებილია ბორჯომის, 9 აპრილის, თავისუფლების, მთის, რუსთაველის, აღმაშენებლის ქუჩებზე. პროექტის ფარგლებში განახლდა ქუჩების, მიმდებარე სახლების ლობეები, ჭიშკრები და გარე განათების სისტემა. დასკვნით ფაზაშია მეორე ეტაპით დაგეგმილი სახლების რეაბილიტაცია 9 აპრილის, ბორჯომის, თავისუფლების და აღმაშენებლის ქუჩებზე.

პროგრამა „განახლებული რეგიონები" და ბაღის მშენებლობა საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება და ჯამური ინვესტიცია 20.2 მილიონი ლარია.

# საქართველოს მოქალაქეობა მარტო უფლება არაა, დიდი ვალდებულებაცაა!

**(დასაწყისი პირველი გვერდიდან)**

მიმდინარეობს საყრდენი კედლების რეაბილიტაცია, რაც დიდი გამოწვევაა რაიონისთვის. მოგეხსენებათ, რომ ბორჯომი მთლიანად განსახლებულია ტერასულ ფერდობებზე და საყრდენ კედლებს, ექსპლუატაციის ვადები გასული აქვს და საჭიროებენ ხელახალ განახლებას. დიდი გამოწვევა იყო ახალი უბნის დამაკავშირებელ გზაზე საყრდენი კედლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, როდესაც დაზიანებული კედელი თითქმის დასრულების პირას იყო, საერთოდ სხვა მონაკვეთზე მუშებს დახვდათ გრუნტის სხვა ფენა და პროექტის დაკორექტირების ხარჯზე და გამოთავისუფლებული თანხებით 41 მეტრზე მოვახდინეთ საყრდენი კედლის რეაბილიტაციას 700 000 ლარის ოდენობის სატენდერო თანხიდან მოხდება აღნიშნული სამუშაოების დასრულება. ეს იქნება საუკეთესო ხარისხით შესრულებული სამუშაო, რომელიც საუკუნეს გაუძლებს.

● **როგორ ფიქრობთ, რთულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელად მუშაობა?**

– საკმაოდ საპასუხისმგებლოა ნებისმიერი პოზიცია და მითუმეტეს, აღნიშნული თანამდებობა, რომელსაც მე ვიკავებ. მინდა აღვნიშნო, რომ ქვეყნის მასშტაბით, რამდენიმე რთულად სამართავი რეგიონია, რომელთა შორისაცაა ბორჯომის რაიონიც. დიდი უმადურობის ფაქტებიც გვხვდება მოსახლეობის მხრიდან, პირადად მეც მაქვს ხოლმე მსგავსი შეგრძნება და ალბათ ეს წინა თაობისა და ჩვენი თაობის პრობლემაა. შენ საქმეს დიდი გულმოდგინებით, მთელი გულით აკეთებ და მაინც ხდება მისი არასწორი აღქმა.

● **2024 წელს საპარლამენტო არჩევნებია, თქვენ როგორც „ქართული ოცნების" პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელი, როგორ ემზადებით ამ დიდი პოლიტიკური კამპანიისთვის? როგორია პარტიის ადგილობრივი წევრების განწყობა არჩევნებისადმი?**

– არჩევნებისთვის მზადება უკვე დაწყებულია, მოლოდინი ძალიან მაღალია და მოსახლეობის დიდი მხარდაჭერის იმედი გვაქვს, რადგანაც „ქართული ოცნება" ეს არის ის პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც სწორი აქცენტები აქვს გაკეთებული ქვეყნის განვითარების კუთხით



და ზუსტად აქვს გაანალიზებული ის პრობლემები და გამოწვევები, რის წინაშეც დგას მთლიანად სახელმწიფო, რაც სჭირდება ქვეყანას, ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, ხედავს ნაკლოვანებებს და მუშაობს ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ეს ყოველივე კი ჩემთვის დიდი სტიმულის მომცემია.

● **თქვენ ხშირად ხვდებით მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. ძირითადად რა პრობლემებზე ამახვილებენ ყურადღებას (სოციალური, საყოფაცხოვრებო, ჯანდაცვა, პირადი პრობლემები და სხვა.) როგორია მათი პრობლემების გადაწყვეტის მაჩვენებელი?**

– სამწუხაროდ, მოსახლეობა ორიენტირებულია მხოლოდ პირადი პრობლემების მოგვარებაზე, რაც გულდასაწყვეტია. მხოლოდ საკუთარი პირადი პრობლემა მიაჩნიათ პრიორიტეტულად და იმაზე პრიორიტეტულადაც კი, თუკი დადგება საკითხი, რომელი პრობლემა უფრო მნიშვნელოვანია, სოციალური პაკეტი თუ ბავშვთა სფეროში არსებული პრობლემები, მაინც საკუთარ პირადს არჩევენ, რაც ნამდვილად გულსატკენია. ეს კი, ძალიან ცუდი ტენდენციაა.

● **როგორ შეაფასებთ საზოგადოების განწყობას ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებისადმი?**

– რთული შესაფასებელია ნებისმიერი თანამდებობის პირისთვის ხალხის განწყობილების შეფასება, თუმცა, პირადად ქებით შემოიფარგლებიან ხოლმე, მაგრამ რეალურად ეს თქვენ უნდა შეფასოთ.

● **2025 წელს ბაკურიანში მსოფლიო მნიშვნელობის ზამთრის ფესტივალი უნდა გაიმართოს, მზადება დაწყებულია, როგორია თქვენი აზრი ბაკურიანის პრობლემებისადმი, მოესწრება თუ არა დაგეგმილი სამუშაოების დროულად დამთავრება?**

– აღნიშნულ ფესტივალს ატარებს ოლიმპიური კომიტეტი, პრემიერის მხარდაჭერით, ამისათვის გამოყოფილია ასი მილიონი ლარი, ბაკურიანში ჩატარდება ღია სახეობები, ხოლო დახურული სახეობები (ყინულზე სრიალი და სხვა) ჩატარდება თბილისში, აქტიურად არის ჩართული ოლიმპიური კომიტეტი, მიდის ყოველდღიური მოლაპარაკებები და იმედს ვიტოვებ, რომ ძალიან კარგად ორგანიზებული, საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტების შესაფერისი ფესტივალი ჩატარდება.

● **მინდა შევეხო სპორტსკოლისა და რაიონული ბიბლიოთეკის განახლებულ შენობის საკითხს, რომელიც ერთ სივცეში განთავსდება, კონკრეტულად სად აპირებთ ამ ობიექტების აშენებას?**

– ჩემი მერად ყოფნის პერიოდში მინდა ქალაქს დავუტოვო ახალი სპორტსკოლის, საფეხბურთო მოედანი და კულტურის სახლი. ეს სამი დიდი პროექტია, რომელიც საკმაოდ ხმამაღალი განაცხადია, ჩემი მხრიდანაც, თუმცა, ვმუშაობთ და მინიმუმ დასრულების ეტაპზე 2025 წლისათვის იქნება ორი პროექტი მაინც. ყოფილი სანატორიუმ „მთის ხეობის" მიმდებარედ არსებულ შენობას ჩავუტარეთ საფუძვლიანი ექსპერტიზა და პირველადი შეფასებით საკმაოდ მძიმე მდგომარეობა დაგვხვდა, რადგანაც იქვე არსებული დევნილების კორპუსიდან სარემონტო სამუშაოების შედეგად დატოვილი ნარჩენები მთლიანად აღნიშნულ შენობაში გადაჰქონდათ და რამდენიმე ათეული სატვირთო მანქანის გასატანი იქნება. გამოცხადდა ტენდერი ამასთან დაკავშირებითაც და უკვე დასუფთავებულ ობიექტს ხელახლა უნდა ჩაუტარდეს ექსპერტიზა, დადგინდება, ვარგისი იქნება თუ არა რეაბილიტაციისთვის, თუ მოხდება მისი დემონტაჟი და აშენდება ახალი შენობა. ესაა საკმაოდ რთული პროექტი, როგორც ინფრასტრუქტურულად, ასევე ბიუჯეტის თვალსაზრისითაც.

● **რას უსურვებდით ბორჯომის მოსახლეობას?**

– ბორჯომის მოსახლობას ვუსურვებდი. რომ იყვნენ უფრო შრომისმოყვარენი, ნაკლებად კრიტიკულები



სხვების მიმართ და მეტად კრიტიკულები საკუთარი თავის მიმართ. **მე ვფიქრობ, იყო საქართველოს მოქალაქე მარტო უფლება არაა, დიდი ვალდებულებაა და ეს ვალდებულება უნდა გვქონდეს უფრო ამაღლებული.**

● **გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის.**

**ესაუბრა ნატო მელიძიძე**

---

## სადღეისო თემაზე

## რას ემსახურება ჟურნალისტიკა?

# როცა კრიტიკა მიზანში ხვდება!

**დღეს მედიის როლზე და მნიშვნელობაზე მინდა გესაუბროთ.**

**შესავლის მაგიერ ცნობილ პიროვნებების აზრს მოგახსენებთ, თუ რას ამბობდნენ გაზეთის შესახებ: მაშ ასე. აი რას ამბობდა ამერიკის ყველაზე სახელოვანი პრეზიდენტი თომას ჯეფერსონი, – „მე რომ მკითხონ, რა გირჩევნია, მთავრობა გაზეთების გარეშე, თუ გაზეთები მთავრობის გარეშეო, არც კი დავფიქრდებოდი! და მეორეს დავუჭერდი მხარ. ოღონდ იმ პირობით, რომ ამ გაზეთების მიღების შესაძლებლობა და წაკითხვის უნარი ყველას უნდა ჰქონდეს". ხოლო ცნობილი გაზეთმცოდნე დევიდ ბროლელი წერდა, – „ძნელია გულგრილი იყო, როცა საქმე მოქალაქეობას ან ჟურნალისტიკას ეხება. კარგი გაზეთი მხოლოდ მაშინ გვანიჭებს სრულ კმაყოფილებას, როცა მას კრიტიკულად ვკითხულობთ".**

რა განსხვავებაა ტელეჟურნალისტებსა და გაზეთის ჟურნალისტებს შორის. – **„ტელეჟურნალისტები კამერების წინ დადგომამდე სარკეში იხედებიან, გაზეთის ჟურნალისტები თავიანთ რეპორტაჟებს ფერუმარილის გარეშე წერენ".**

ჟურნალისტები ამაყობენ თავიანთი პროფესიით, რომლებსაც მათ საყოველთაო კეთილდღეობის სადარაჯოზე მყოფ უშიშარ ძაღლებად აქცევს. თუმცა, როცა იწყება მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვუდარაჯოთ თვით ჟურნალისტებს, ისინი მკვეთრ პროტესტს გამოთქვამენ. ჟურნალისტების საერთო აზრი შეიძლება მოკლე ფრაზით ჩამოვაყალიბოთ. **– „თითოეული ადამიანის საქმე და პრობლემა ჟურნალისტის საქმეა. ჟურნალისტის პრობლემა კი არავის საქმე არ არის", ამიტომაა, რომ ჟურნალისტობა უმადურ საქმედ მიაჩნიათ.**

ჟურნალისტები იდეურად მტკიცე ხასიათის ადამიანებია, უყვართ არჩეული პროფესია და მათი წერილების შინაარსი ძირითადად დადებით ემოცებს აღძრავს საზოგადოებაში, ისინი საზოგადოებაში დაგროვილი ნეგატიური პროცესების წინა პლანზე წამოწევას ცდილობენ და ყველაზე დიდ სიხარულს მაშინ გრძნობენ, როცა მათი წერილი თუ რეპორტაჟი მიზანში ხვდება, მკითხველის დადებით ემოციას იწვევს ის ფაქტი, როცა წერილში გაკრიტიკებული და მხილებული მომენტალურად ცდილობს ნაკლოვანებების აღმოფხვრას.

ჟურნალისტების ავ-კარგზე, მათ საქმიანობაზე, მცირე, სიმბოლურ ანაზღაურებაზე და ა.შ. დაუსრულებლად შეიძლება საუბარი როგორც დათა თუთაშხიას ერთ-ერთი პერსონალი აცხადებს **„აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალგვიძს", მხოლოდ ამიტომაა დასაფასებელი ჟურნალისტი".**

**მთავარია, ჟურნალისტის კალამს ჟანგი არ მოეკიდოს, იბრძოლოს ბოლომდე და მკითხველი მიხვდება, ვინ არის მისი გულშემატკივარი, – ჟურნალისტი თუ ის ვინც პრობლემებს უქმნის საზოგადოებას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ მოთხოვნით ვზრდი რედაქციაში შემორჩენილ ორიოდე ჟურნალისტს და ვამხნევებ, – სიმართლე დაწერეთ, მართლები იყავით თქვენი სინდისის წინაშე და თქვენი ერთგული დამცველი მანამდე ვიქნები, სანამ პირში სული მიდგას.**

ამ პათოსით მოვდივართ ჩვენი ცხოვრების ეკლიან გზაზე, არაერთი პრობლემის მიუხედავად, ვიბრძვით სამართლიანობის, საჯაროობის, ნეგატიური გამოვლნებების წინააღმდეგ, ჩვენი პროფესიის უდიდეს გამარჯვებად მიმაჩნია, გაზეთში გამოქვეყნებულ კრიტიკულ, მამხილებელ წერილზე მიღებული პასუხები, რომელიც გვამცნობს, რომ ნაკლოვანება გამოსწორებულია.

სამწუხაროდ, ასეთი პასუხები 30 წლის წინათ ხშირად ქვეყნდებოდა ჩვენს გაზეთში, ახლა იშვიათია.

დღეს თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში (კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, აიფონი, ტელევიზია და სხვა). საზოგადოების ერთმა ნაწილმა დაივიწყა წიგნი, ჟურნალი, გაზეთი, ან როგორ შეიყვარებდა, როცა ამ 20 წლის წინათ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საჯაროდ განაცხადა, – **„გაზეთებს არ ვკითხულობო",** მერე თავისი ნათქვამი იმით განამტკიცა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებს დაავალა გაზეთები არ გაავრცელოთო და დღემდე თავს აღარ იწუხებენ გაზეთე-





ბის კითხვით საჯარო დაწესებულებებში.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს აეკრძალათ გაზეთების გამოწერა, შეძენა და... კითხვა... შედეგიც სახეზეა. აღარც მუნიციპალიტეტების თანამშრომლები, ადგილობრივი დეპუტატები, სკოლების პედაგოგები, კულტურისა და ჯანდაცვის მუშაკები, ინტელიგენციის წარმომადგენლების დიდი უმრავლესობა არც რესპუბლიკურ და არც ადგილობრივ გაზეთებს აღარ კითხულობენ. თუმცა ჯერ კიდევ არიან საზოგადოების აქტიური წევრები, რომლებიც დარჩნენ გაზეთების ერთგულ მკითხველებად, თითქმის ყოველდღე მხვდებიან ადამიანები, რომლებიც მადლობას გამოხატავენ გამოქვეყნებული წერილების თაობაზე, იწონებენ, გვამხნევებენ, რჩევებს გვაძლევენ.

გაზეთის თანამშრომლები კი სამ თვეში ერთხელ ხელფასად 200-250 ლარს იღებენ, რომ არა დიდი ენთუზიაზმი და პროფესიის სიყვარული, გაზეთ „ბორჯომიც" დიდი ხნის გაუქმებული იქნებოდა. **ბორჯომელებს ნამდვილად უყვართ საუკუნეს მიტანებული გაზეთი, დიდია მისი როლი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საქმეში.**

**გაზეთის უპირველესი მოვალეობაა ადგილობრივი ხელისუფლების მხარში დგომა, მხარდაჭერა იმ ნაკლოვანებების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ერთობლივი მოქმედება, ანუ გაზეთი უნდა იბრძოდეს ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.**

„ბორჯომის" ჟურნალისტების საამაყოდ უნდა ითქვას ისიც, რომ ისინი არ ურიგდებიან მუნიციპალიტეტში ჯერ კიდევ დაუძლეველ პრობლემებს, უხარისხოდ გაკეთებულ საქმეებს, რომლებსაც სამშენებლო თუ სხვა სამსახურები თუ ორგანიზაციები გულგრილად ასრულებენ.

გაზეთის უპირველესი მოვალეობაა ბრძოლა ყოველგვარი მანკიერების და ზერელედ, უხარისხოდ გაკეთებული საქმეებისადმი.

კონკრეტული მაგალითების ჩამოთვლა ძნელი სრულებითაც არაა. არაერთი მამხილებელი წერილი მიუძღვნიათ გაჭიანურებულ და უხარისხოდ შესრულებულ საგზაო მშენებლობებს, უპატრონოდ მომრავლებული ძაღლების ქალაქის ქუჩებში ხეტიალს, კერძო მანქანებისათვის პარკინგის შექმნის აუცილებლობას, გარე ვაჭრობის მოწესრიგების საკითხებს, „ჯეოჰოსპიტალსის" კლინიკაში არსებულ პრობლემებს, უხარისხოდ დაგებულ ტროტუარებს, ქალაქში სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს, სოფლად სასმელი წყლის მოწესრიგების, ინფრასტრუქტურული პროექტების ავ-კარგს და სხვა. სამწუხაროდ, ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციებიდან და სამსახურებიდან არანაირი პასუხი არ მიგვიღია, რაც ამ სამსახურების ხელმძღვანელთა მხრიდან რედაქციისადმი გამოჩენილი უყურადღებობის კლასიკური მაგალითებია.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მეგზევეთა ერთ მეტად დაუდევრად და უპასუხისმგებლოდ შესრულებულ სამუშაოს შესახებ გამოვაქვეყნეთ კრიტიკული წერილი, რომელიც საგზაო ნიშნების უადგილო ადგილზე დახაზვის კლასიკურ ნიმუშად გამოდგება.

ქალაქის ცენტრში არსებულ „სილამაზის ხიდზე" ზებრა გადასასვლელი დაგვიხაზეს, მძღოლები და ფეხით მოსიარულე ბორჯომელები ირონიული ღიმილით უვლიდნენ გვერდს ამ გადასასვლელს. გაზეთში გამოქვეყნებული წერილი მიზანში მოხვდა. ორიოდე დღის შემდეგ ხიდზე ზებრა გადასასვლელი სასწრაფოდ გადაიღება.

**თურმე გაზეთს ძალა ჰქონია. კრიტიკა მოზანში მოხვდა!**

გულდასაწყვეტია, როცა გაზეთის არაერთი შენიშვნა თუ კრიტიკა რეაგირების გარეშე რჩება, არადა, რამდენი კარგი საქმე გაკეთდებოდა ჩვენს ქალაქში გაზეთის კრიტიკას რომ საქმიანი რეაგირება ახლდეს.

**ვალერიან ლომიძე,**
**გაზეთ „ბორჯომის" რედაქტორი.**

**(თემის გაგრძელება იქნება)**

## იუბილარი 75 წლისაა

# ამაყობს აღზრდილი შეგირდებით

**ამ დღეებში, შესანიშნავ პიროვნებას, ყოფილ მოთხილამურეს, საციგაო სპორტში წარმატებულ მწვრთნელს, ორი შვილის მამას და ორი შვილიშვილის ბაბუას, ვასილ მიქაბერიძეს შევხვდი, კაცს, რომელსაც თავისი ცხოვრების მანძილზე ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული ბაკურიანისათვის. მას 75 წელი უსრულდება.**



**წლების წინ,** ბევრჯერ მინდოდა მასთან ინტერვიუს ჩაწერა გაზეთ ბორჯომისთვის, მაგრამ ყოველთვის უარზე იყო (მწვრთნელობის პერიოდში გაზეთ ლელოში ხშირად მქონდა მასთან ინტერვიუ ს.ხ.).

ვასილ მიქაბერიძის სპორტული ბიოგრაფია, ისევე მოკრძალებულია, როგორიც თვითონაა. ისიც, როგორც ყველა ბაკურიანელი, ბავშვობიდანვე დადგა თხილამურებზე. 10-12 წლის ასაკში კი სერიოზულად მოეკიდა სამთო-სათხილამურო სპორტს და სულ მალე 1965-1966 წ.წ.) მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობებზე ორ დისციპლინაში: სლალომსა და სლალომ გიგანტში პირველი ადგილები დაისაკუთრა.

სპორტისკენ მიმავალი გზა ოჯახურმა ტრაგედიამ გადაუღობა, მშობლები დაეღუპა... სწავლა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში გააგრძელა. სტუდენტობის პერიოდში პატარ-პატარა ინფორმაციებს აწვდიდა გაზეთ „ლელოს“ საციგაო სპორტის შესახებ, რომელიც იმხანად იკიდებდა ფეხს. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, 1972 წლიდან ბორჯომის სპორტულ სკოლასთან არსებულ სათხილამურო რბოლების ჯგუფის მწვრთნელი გახდა, ერთი წლის შემდეგ, ცნობილი მწვრთნელი, საქართველოს მოციგავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა აწ გარდაცვლილმა ალეკო ქუმარიტაშვილმა შესთავაზა ნაკრებში მეორე მწვრთნელის პოზიციაზე მუშაობა. ვასილიც დათანხმდა, ძირითადად იგი გოგონებსა და ჭაბუკებს (იუნიორებს) ავარჯიშებდა.

ვასოს თავისებური თბილი, მეგობრული მიდგომები ჰქონდა სპორტსმენებთნ, რაც მის შეგირდებს უორმაგებდა ვარჯიშისადმი დამოკიდებულობას, რაც აისახებოდა კიდეც მათ შედეგებზე. დავით ქუმარიტაშვილისა და დავით გაგლოევის წყვილმა ზედიზედ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული ახალგაზრდებს შორის და ნაკრების უმაღლეს გუნდში დაიმკვიდრეს ადგილი.

1978 წელს სსრკ ხალხთა IV სპარტაკიადაზე საქართველოს მოციგავეთა ნაკრებმა, გუნდურ ჩათვლაში მეოთხე ადგილი დაისაკუთრა, რაშიც უდავოდ დიდი იყო ვასილ მიქაბერიძის ღვაწლი, ალეკო ქუმარიტაშვილთან ერთად. ერთი წლის შემდეგ კი, რიგაში გამართულ სსრკ თასზე ახალგაზრდული გუნდი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა, ხოლო ქეთევან ჯეირანაშვილს ბრინჯაოს მედალი და სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა.

ვასილ მიქაბერიძემ 15 წელი იმუშავა მწვრთნელად. მუშაობის პერიოდში თანდათან იმაღლებდა კვალიფიკაციას. გახდა სპორტსაზოგადოება, „შრომითი რეზერვების“ უფროსი მწვრთნელი, ასევე დაინიშნა ნინო დუმბაძის სახელობის უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის ბაზაზე არსებული ბაკურიანის დაოსტატების სპორტულ სკოლა ინტერნატში მწვრთნელად...

ფეხბურთიც უყვარდა, ამიტომ, მაშინდელი ნადირთმშენის მეურნეობის ფეხბურთელთა გუნდი მისი თავკაცობით არაერთხელ მონაწილეობდა რაიონულ პირველობებზე.

– ერთხელაც გამარჯვებულები მედლებით და დიპლომებით ხელდამშვენებულები ამოვედით ბორჯომიდან. დირექტორი ცხონებული გურამ დეკანოიძე სიხარულით დატრიალდა, ცხვარი დაგვიკლა ბიჭებს და გვარიანადაც ვიქეიფეთ, – ღიმილით იხსენებს ვასილი..

დაოჯახების შემდეგ ვასილ მიქაბერიძე პანსიონატ „მთის ბროლში“ იწყებს მუშაობას დირექტორის მოადგილედ, სადაც მუშაობდა ბაზის დახურვამდე.

ვასილ მიქაბერიძე თავისი განათლებით, კულტურით, პასუხისმგებლობით მშობლიური ბაკურიანისადმი, ყოველთვის მზადაა იტრიალოს იქ, სადაც საჭიროა, არ ყოფილა არცერთი „ბაკურიანობა“, რომ არ მიეღო მონაწილეობა, როგორც მსაჯს.

მოწონს დღევანდელი ბაკურიანის ფერისცვალება, მთლიანად ახალი რეაბილიტირებული პარკი, გარე ფასადების და შენობების იერსახის ცვლილება, რაც ერთიორად ალამაზებს კურორტს; წუხს იმაზე, რომ დაგვიანდა, ასეთი პროექტი 10-15 წლის წინ უნდა დაწყებულიყო, ამას ბაკურიანი ნამდვილად იმსახურებდა. მადლიერია ბაკურიანის განვითარების სააგენტოს არსებობით, მისი ხელმძღვანელის ეკატერინე ორჯონიკიძის დაუღალავი შრომით.

და ბოლოს, წერილს ვამთავრებ იმით, რაც თავში ვახსენე – წარმატებული მწვრთნელი-მეთქი, დიახაც, ვასილ მიქაბერიძე ნამდვილად (შეგირდთა შედეგების მიხედვით) წარმატებული მწვრთნელია, მართალია ოფიციალურად დამსახურებული მწვრთნელის წოდება არ მიუღია, ვერ გეტყვით, რატომ, იქნებ უბრალოდ გამორჩათ კიდეც, რაც ხშირია ნებისმიერ დარგში, არადა უამრავი სიგელები, დიპლომები, მადლობები აქვს მიღებული საქართველოს სპორტკომიტეტის მინისტრის დავით პერტენავას ხელმოწერით. **მაგრამ მთავარი ეს დოკუმენტები კი არაა, არამედ ის, რომ მისმა მისმა შეგირდებმა ოდესღაც წარმატებები მოიპოვეს, ეს ისტორიაა, რომლის შექმნაში ღირსეული წვლილი აქვს შეტანილი ბატონ ვასილ მიქაბერიძეს.**

**სოფო ხეთაგაშვილი**

## წარმატებული პედაგოგი

**40 წელია ბორჯომის სამუსიკო სკოლას ქალბატონი მარინე რატიანის პიროვნება და მუსიკისადმი მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება სულ სხვა ტონალობასა და ელფერს ძენს, როგორც მოსწავლეებს, ასევე ამ ისტორიულ შენობას. იშვიათობაა მასსავით აზროვნებდე, შეიცნობდე ყველა ბგერას სხვადასხვა განზომილებაში, გესმოდეს და ამავე დროს ხედავდე ბგერის ყველა მოქმედებასა და ფერს.**

**ქალბატონი მარინესთვის გრძნობდე უდიდეს პასუხისმგებლობას ჩვეული მდგომარეობაა. უკვე ჩამოყალიბებული პიანისტები გადიან მისი სამუშაო ოთახიდან და ბორჯომის სამუსიკო სკოლიდან. მოპოვებული ვარსკვლავი – საუკეთესო მასწავლებელი ამშვენებს მის პიროვნებას. ათეული წლებია მარინე მასწავლებლის მოსწავლეებისათვის გრან-პრი, I ადგილი, მაყურებლისა და ჟიურის რჩეული, მოპოვებული ჯილდოები საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე ახარებს ბორჯომელებს, რომლის სახელი ხშირად ისმის საქართველოსა და ქვეყნის გარეთ.**

# მოსწავლეების სულში მუსიკის სიყვარულს აღვიძრებს

**იგი ამბობს,** როდესაც მუსიკა გაინტერესებს, უკრავ და ხელოვნების სიღრმეებს ეცნობი, სუფთა და ფერადი სამყარო გიყალიბდება, ცუდს არც გაიფიქრებ. ჩვენი მარინე, მოსწავლეების სულში მუსიკით ყვავილებს ზრდის.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა ბორჯომს, მისი გამოცდილების წლებმა ათვლა კონსერვატორიაში სწავლის დაწყების დღიდან დაიწყო.

მისთვის საყვარელი საყვარელი კომპოზიტორი იოჰან სებასტიან ბახია.

– ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ იოჰან სებასტიან ბახს ვიცნობ, და თან არ ვიცნობ, სულ ახალია. როდესაც ბახის პასიონები მოვისმინე, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. იმდენად დიდებული და ამაღელვებელია.

მიიჩნევს, რომ ადამიანი დინამიკაშია საინტერესო, ხან დიდი სიხარული, ხან კი გულისწყეტა აქვს.

წარმატება მალევე ავიწყდება, – ეს მისი თვისებაა. მოსწავლეებთან მეგობრობა სამუსიკო სკოლის დამთავრების შემდეგაც გრძელდება, მის ოთახს არ ივიწყებენ და ხშირად შეხვედრებით გულანთებული სიყვარულით, რომ ეფერებიან, ისევ როიალთან უკრავენ.

დიდია დედის როლი მუსიკალურ განათლებაში. დედაც მუსიკოსი იყო და სწავლობდა ნიჭიერთა ათწლედში ზურაბ ანჯაფარიძისა და ბიძინა კვერნაძის გვერდით.

არ დამავიწყდება, როდესაც შემიყვანა პირველად კონსერვატორიაში, როგორ დავყავდი ბორჯომიდან თბილისში, რომ მოგესმინა საოპერო ნაწარმოებები.

დედამ შეაყვარა ის გარემო, სადაც თვითონ ტრიალებდა. ასე გადაიზარდა მუსიკისადმი სიყვარული სხვა განზომილებაში.

**ირა ჯანიბახჩევა** იყო ქალბატონი მარინე მასწავლებლის მუსიკის პირველი მასწავლებელი.

როგორც იხსენებს, ის იყო მომთხოვნი, მკაცრი და სამართლიანი, ასე გაატარეს ერთად 7 წელიწადი.

შაბათ დღეს, საღამოს შედგა ჩვენი შეხვედრა ინ-



ტერვიუსათვის, მასთან იმყოფებოდნენ და მეცადინეობდნენ **ოთო ოთარაშვილი, ლიზი ხაჩიძე და ბარბარე მაჩაიძე.** მოსწავლეებმა ერთხმად გაუსვეს ხაზი მასწავლებელთან ახლო მეგობრობას, ტკბილი და თბილი მასწავლებელი, ზოგჯერ მკაცრიც და მომთხოვნიც. ასეთია ოთოს, ლიზისა და ბარბარეს შეფასება, რომლებიც სასიამოვნო მუსიკის ჰანგებს არ იშურებენ გულშემატკივრებისთვის.

„როგორც დაუკრავთ, ისე დაუკრავთ და თუ შენ არ დაუკრავ სხვა დაუკრავს!“ – ასეთია ფესტივალებისა და საერთაშორისო კონკურსების წინ მარინე მასწავლებლის გზავნილი. ფაქტია, უკრავენ და თან როგორ.

ქალბატონმა მარინემ გაიხსენა, – კონკურსის შემდეგ ჟიურიმ, რომ ჰკითხა, რომელი მოსწავლე უკეთ უკრავსო?! მისი კითხვა-პასუხი იყო, – როდის იყო შვილზე ეკითხებოდნენ დედას, რომელი შვილი უფრო გიყვარსო?! თქვენ მოისმინეთ და ნახეთ როგორ უკრავენო!

**ახლა კი მოდით, ქალბატონ მარინეს შეგირდების მოპოვებულ ჯილდოებს გავეცნოთ.**

**ოთო ოთარაშვილი:** – იპოვე შენი ვარსკვლავი – გრან-პრი; რონდო კლასიკა – I ადგილი; თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი – II ადგილი, 2023 წელი; ბელკანტო – I ადგილი; ნორჩი ვირტუოზი – II ადგილი; რეგიონალური კონკურსი – უმაღლესი ჯილდო (ფულადი პრემია) – 3-ჯერ.

გამოვარჩევ შოპენის ბალადებს განსაკუთრებით პირველსა და მესამეს,

(გაგრძელება მეოთხე გვერდზე)

## ვიცოდეთ ჩვენი ხეობის ისტორია

# რას წერდნენ უცხოელი ავტორები ბორჯომის შესახებ



**გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზ. „ბორჯომი“. №44, 19 ოქტომბერი, 2023 წელი.**

**ამ უკაცრიელ** ადგილზე სიჩუმეს არღვევს მხოლოდ იმ ნაკადულის ჩურჩული, რომელიც ჩაედინება ლიკანკაში. თითქოს და ისმის ჩივილი გვერდით მდებარე პატარა სასაფლაოდან. სამრეკლოს გარშემო, ქვევით, ხევში ჩანს კედლების ნაწილები, ძველი მონასტრის ნანგრევები. ეკლესიის გვერდით საფლავები დაფარულია მიწით და ქმნიან ყორღანებს, ამ სამარხების გახსნილ ადგილებში მიწაზე ჩანს ძვლების ფხვიერი მასა. უგუმბათო ეკლესიის კედელში ნაპრალები მიუთითებს წარსულში საკურთხევლის არსებობას. საკურთხევლიდან მარცხნივ, სამარხებში შემორჩენილია მხოლოდ ერთი ქვის საფლავი. ვინ დაუკრძალავთ ასეთ ადგილზე? არანაირი წარწერა არ გვაძლევს საშუალებას, გავიგოთ. სამარხი დაფარულია მსხვილი მცენარეებით.

ბორჯომის სახელმწიფო ტერიტორიაზე მოფენილია ორმოცამდე სოფელი, დასახლებული ქართველებით, რუსებით, სომხებით, ოსებით, რომლებიც ძირითადად დაკავებული არიან მიწათმოქმედებით და ხის მასალის ტრანსპორტირებით. უმრავლესობა დაკმაყოფილებულია. საძოვრები არაჩვეულებრივია და მიუწვდომელია მეცხოველეობისათვის. რაც შეეხება დამუშავებულ მინდვრებს, მათ უკავია ოციათასი დესეტინის სივრცე.

კალმახის მოყვარულებს შეუძლია გამართონ ნადიმი ბორჯომში. ორმოცდაათიოდე ვერსის მანძილზე მდებარეობს ტბა ტაბაწყური, სადაც უხვად არის ეს თევზი. თბილისის სუფრები მარაგდება ამ მიდამოებიდან.

ამ ტბის ნაპირზე, დაახლოებით ხუთ ვერსტზე, განლაგებულია ორი სოფელი, რომელთაგან ერთის სახელია მოლითი, და მეორესი რუსულად „კრასნაია ცერკოვ“, ქართულად წითელი საყდარი, ხოლო თურქულად „კისილ კილისა“. ამ უკანასკნელს უკავია გრძელი და ვიწრო თითქმის კუნძული, რომელიც დომინირებს აუზში. მას დაარქვეს მოწითალო ქვისგანაშენებული ტაძრის სახელი. ეს სოფელი ალბათ ყველაზე ლამაზია და გრანდიოზულია ბორჯომის მახლობლად. ზევიდან ისე გამოიყურება თითქოს ცურავდეს წყალში. მხოლოდ როდესაც ვუახლოვდებით ვხვდებით რომ იგი მდებარეობს ტბის ვულკანურ ბორცვზე და გარეული იხვები დაცურავენ ისე ახლოს, რომ შეიძლება ხელით შეხება. ძალიან ხელსაყრელია ფრინველების მოყვარულთათვის, რადგან იარაღის ტარება, ისევე როგორც ნადირობა აკრძალულია მთელ ტერიტორიაზე. ამ ტბასთან მივედით ნაწილობრივ ცხენით, ნაწილობრივ მანქანით ახალი გზატკეცილით, რომელიც მიდის ახალქალაქისკენ, პატარა ქალაქი ოცდაათ ვერსში თურქეთის საზღვართან.




**„მოგზაურობა კავკასიაში“.**
**აღწერილი ქალბატონ კარლა სერენას მიერ.**
**„გურია, გორის, ბორჯომის და ახალციხის რაიონები“. „ბორჯომი და შემოგარენი“.**
**ფრანგული ტექსტი თარგმნა ლენა კილაძემ.**
**თარჯიმანთა ბიურო „Lingvo“.**

(გაგრძელება იქნება)

# მოსწავლეების სულში მუსიკის სიყვარულს ამკვიდრებს

როდესაც ვუსმენ სხვა სამყაროში იკარგები და ეს არის გრძნობებისა და სიყვარულის კორიანტელი, ისეთი ლამაზი ბალადებია.

- ჩვენი მეგობარ-მასწავლებელი გვაცნობს, გვაახლოებს მუსიკის სამყაროსთან, რაც ძალიან უყვარს. მეც შემაყვარა, ისე რომ მსგავს დამოკიდებულებას ჩემგან არც ელოდა. ერთ-ერთი უსაყვარლესი ადამიანია, ერთგული მასწავლებელი. ფორტეპიანოზე სწავლის დაწყება დიდ ემოციებს უკავშირდება. ფესტივალებზე მონაწილეობა მაძლევს სტიმულსა და გამოცდილებას, რომ უფრო კარგად დავუკრა და წარმოვაჩინო ჩემი, მასწავლებლისა და სკოლის სახელი. უფრო მეტ კონკურსში გავიმარჯვო. სამომავლოდ კი ჩემი წარმატებებით შევაყვარო ბავშვებს მუსიკა და ვასახელო ბორჯომი. მე მიყვარს საქართველო, მაგრამ ყველაზე მეტად საქართველოში მიყვარს ჩემი ქალაქი.

**ლიზი ხაჩიძე:** - უმაღლესი წოდება „ვარსკვლავი" - 2023 წელი; სტოკჰოლმი - I ადგილი - II კლასი - 2018 წელი; თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი - I ადგილი, I კატეგორიის - 2021 წელი; თბილისის ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი - III ადგილი - 2022 წელი; ჩეხეთის საერთაშორისო კონკურსი - I ადგილი - 2023 წელი; რეგიონალური უმაღლესი ჯილდო; ეროვნული კონკურსები - I ადგილი.

ლიზის მოცარტის ყველა ნაწარმოები მოწონს, გამოარჩევს მოცარტის „ფანტაზიას" - ულამაზესია და ამავე დროს ცვალებადი და თბილი ხასიათისაა.

- მუსიკა, ჩემთვის მარინე მასწავლებელთან ასოცირდება. 5 წლიდან ვუკრავ. კონკურსებზე, რომ გავდივარ და ჩემს სახელს აცხადებენ გამარჯვებულებში ძალიან დიდი სიხარულის შეგრძნება მაქვს. ამ დროს, ის შრომა მიფასდება, რომელიც გამარჯვებისთვისაა აუცილებელი.

ყოველდღიურად ფორტეპიანოზე 4 საათის განმავლობაში ვუკრავ, როდესაც ბევრს ვმეცადინეობ უფრო თავდაჯერებული ვარ. დამსახურებული ადგილის მოპოვებისათვის ძალიან ბევრი მეცადინეობაა საჭირო.

მიყვარს და ვმეგობრობ მარინე მასწავლებელთან. ყოველთვის დედობრივ სითბოს გამოხატავს. (შეზრდილები ვართ - თავისებური სიყვარულით უთხრა ჩაწერისას მასწავლებელმა ლიზის.)

**ბარბარე მაჩაიძე:** - ნორჩი ვირტუოზი - I ადგილი, 2023 წელი; რონდო კლასიკა - I ადგილი, 2023 წელი; რეგიონალური უმაღლესი ქართული მუსიკის VIII საერთაშორისო კონკურსი - I ადგილი; თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი - II ადგილი - 2022 წელი. დიპლომი - 2023 წელი.

ბარბარესთვის საყვარელი ნაწარმოებია შუბერტის „ლენდლერი", ის ბევრ წარმატებას უკავშირდება.

- როდესაც ვუკრავ, ვგრძნობ სილაღეს, წარმომიდგენია, რომ დავრბივარ მინდორში, ვეთამაშები პეპლებს, გარშემო კი ულამაზესი ყვავილებია და მე ძალიან ბედნიერი ვარ. კონკურსების წინა პერიოდში ჩვენ დიდ შრომასა და ენერგიას ვდებთ თითოეულ ნაწარმოების შესრულებისას, რათა ღირსეულად წარვსდგეთ მსმენელის წინაშე. გამარჯვება გვაძლევს სტიმულს უფრო დიდი გამარჯვებისკენ.

ამ დიდი შრომის შედეგია, რომ ვასახელებ მარინა მასწავლებელს, სკოლას და რაიონს.

აქ, ვგრძნობ თავს კარგად, შემიძლია ვიყო ის, ვინც ვარ.

**3 თვის** განმავლობაში 270 გაკვეთილი კონკურსანტებისთვის ყოველდღიურობის ნაწილია. ეს თითქმის 2 წლის სამუშაოს უტოლდება. ეს მასწავლებლის თავგანწირვაა. ასეთი თავგანწირვა საიდან მოდის?! - გენეტიკიდან. მოვუფრთხილდეთ და დავაფასოთ მის თითოეულ სიტყვას; საქმეს, რომელსაც მოსწავლეებისთვის და მისი ქალაქის სიყვარულით აკეთებს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი წარმატებული მოსწავლეების აქტიური გულშემატკივარი და მხარდამჭერია. ბორჯომის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა თანადგომისთვის მადლობა გადაუხადეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და აღნიშნეს, რომ მათთვის ასეთი ყურადღება ნამდვილად წარმოადგენს დიდ მოტივაციას და არის წინსვლისთვის ერთ-ერთი მთავარი მიზანი. იმედს იტოვებენ, რომ მსგავსი ყურადღება და მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება.

**მოამზადა ირმა იანვარაშვილმა**

## სპორტი

# გამოვლინდნენ უბნებს შორის გამარჯვებულები



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, ფეხბურთში უბნებს შორის ჩემპიონატის ფინალი გაიმართა.

ჩემპიონატში 10 გუნდი მონაწილეობდა, საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს, ბორჯომის მუნიციპალიტეტისაგან, სიგელები, მედლები, თასი და ფულადი ჯილდო გადაეცათ:

ფინალში ერთმანეთს ახალშენის და ჩარხისწყალის გუნდები დაუპირისპირდნენ. **შეხვედრა ახალშენის გუნდის გამარჯვებით დასრულდა და ჯილდოდ გუნდმა 900 ლარი დაიმსახურა.**

**მეორე ადგილი - ჩარხისწყალის გუნდმა მოიპოვა და 600 ლარი გადაეცა;**

**მესამე ადგილი - სოფელი ყვიბისის გუნდმა დაისაკუთრა და 300 ლარი გადაეცა;**

ფინალს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე** და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით, ბორჯომის მუნიციპალიტეტი სხვადასხვა სპორტული აქტივობის დაგეგმვას მომავალშიც ინტენსიურად გააგრძელებს.

# მოჭადრაკე დების მორიგი წარმატება



**1-8 ნოემბერს** თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა პირველი ქართველი დიდოსტატის, ბუხუტი გურგენიძის სახელობის თასის გათამაშება. სადაც ბორჯომელმა დებმა, **ბარბარე და ელენე შონიებმა** წარმატებით იასპარეზეს.

ასპარეზობა სამ ასაკობრივ კატეგორიაში: 8;10 და 12 წლიანებში გაიმართა.

8 წლამდე გოგონათა შორის წარმატებით იასპარეზა **ელენე შონიამ,** რომელმაც 7-დან 5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა.

10-წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში, **ბარბარე შონიამ** 7-დან 5 ქულით გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

ვულოცავთ დებს წარმატებებს.

## პოეზიის კუთხე

# გაზაფხული ისევ ამღერებს



**ხეებს უმოწყალოდ ძარცვავს შემოდგომა,**
**ფოთლის უმწეობით, ქარიც გადიდგულდა,**
**ხეებს ახალ ფოთლით მორთავს გაზაფხული,**
**ისევ აუმღერებს სულს და გულისთქმას!**
**წლები კი მიჰქრიან, ვის სად დაუღამებს,**
**სად დაუპირქვავებს თასით ნეტარებას?**
**გამქრალ ფოთლებივით ვეძებ დაკარგულ ხალხს,**
**მათთან სიახლოვე ისევ მენატრება.**
**წუთები მიჰქრიან წლების ზურგზე შემსხდარნი,**
**ქარი სისინებს და წვიმაც ეძალება,**
**გული კი კვლავ დარჩა ჩვილივით უძლური,**
**ოცნებობს და თვალებს ძილი ეკარგება.**
**მოვედით? მივდივართ? არავინ არ გვკითხავს,**
**წამზომი ულმობლად არის ჩართული და**
**კალო ილეწება ჩვენს დაუკითხავად,**
**მზის გამონათებას ველი წარსულიდან.**
**ბუნებავ, შეგვმოსე რწმენით და იმედით,**
**ბასრ ცელის პირზე ფეხშიშველს ნუ გვატარებ,**
**ხელახლა გასაფოთლ, გაძარცვულ ხეებივით,**
**მცირედი იმედით მაინც გაგვახარე.**
**ხეებს უმოწყალოდ ძარცვავს შემოდგომა,**
**ფოთლის უმწეობით ქარიც გაგულისდა,**
**ხეებს ახალ ფოთლით მორთავს გაზაფხული,**
**ისევ აუსრულებს ჩანაფიქრ გულისთქმას.**
**ფიქრები წყდებიან ხმელი ფოთლებივით,**
**მომავლის იმედით ისევ რწმენა გვშველის,**
**უხმოდ აკივლებულ სულის ჩაწყნარებას,**
**ღმერთის შვილი ვარ და ისევ უფლით ველი.**

**იზო სარქისიანი** 2.11.23 წ.

# მოსახლეობის საყურადღებოდ!

**1 ნოემბრიდან, ბორჯომის საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრებს შეუძლიათ მგზავრობის ღირებულება გადაიხადონ „საქართველოს ბანკის" ბარათით.**



**შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 3 აპრილიდან, ბორჯომში საზოგადოებრივ ტრანსპორტში საბარათე გადახდის სისტემა ამოქმედდა.**

**მგზავრობის ღირებულების გადახდა „თიბისი" ბანკის, „საქართველოს ბანკის" სამგზავრო ბარათით არის შესაძლებელი.**

**გადახდის ახალი წესით მოქალაქეებისთვის მგზავრობის ღირებულება არ ძვირდება.**

## ბრძნული შეგონება

# არასოდეს შეწყვიტოთ იყოთ ის, ვინც ხართ...

**„ერთ ერთი ლეგენდის თანახმად, ერთხელ გველი ციცინათელას დაედევნა, რათა გადაეყლაპა.**

**პატარა მწერმა შეუძლებელი გააკეთა გველისგან თავის დასაღწევად. გველი დღეების განმავლობაში ინტენსიურად დასდევდა.**

**ცოტა ხანში დაღლილი, ძალაგამოცლილი ციცინათელა გაჩერდა და გველს ეუბნება:**

**- შეიძლება დაგისვათ 3 შეკითხვა?**

გველმა უპასუხა:

- არ ვარ მიჩვეული დათმობაზე წასვლას, მაგრამ რადგან მაინც ვაპირებ შენს შეჭმას, შეგიძლია მკითხო რაც გინდა!

**- კითხვა 1: ვეკუთვნი თქვენი ყოველდღიური კვების ნაწილს?**

- არა.

**- კითხვა 2: რამე გაწყენინეთ?**

- საერთოდ არაფერი.

- **კითხვა 3: და რატომ გინდათ ჩემი შეჭმა?**

- იმიტომ რომ მაღიზიანებს შენი ბრწყინვალება!!!



*P.S.* **„არაერთხელ შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ გაგაკრიტიკებენ, დაგგმობენ, იარლიყს მიგაკრავენ, მაშინაც კი, თუ კი მათთვის არასოდეს არაფერი დაგიშავებიათ და მათ მიმართ ყოველთვის სრულიად გულწრფელი იყავით. და ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ციცინათელას მსგავსად, თქვენც გაქვთ საკუთარი სიკაშკაშე, თქვენ ანათებთ თქვენს გზას და სხვებსაც უნათებთ, ვინც ბნელში ტრიალებს. თქვენ ატარებთ სხვებზე მეტ სინათლეს, როგორც ღამით ციცინათელა და ამის ატანა სხვა ადამიანებისთვის ძალიან რთულია, რადგან მათ აკლიათ ეს შინაგანი შუქი, ეს საკუთარი სიკაშკაშე და უღვიძებს მათ შურის გრძნობას.**

**ამიტომ არასოდეს შეწყვიტოთ იყოთ ის, ვინც ხართ და ყოველთვის მიეცით საშუალება იმ შუქს რომ ანათებდეს, რომელიც თქვენშია.. თუნდაც ეს აწუხებდეს იმ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ სრულ სიბნელეში.**

**ლელა ბილისეიშვილი**

# ნატაშა პეტროსიანის გახსენება



**ორმოცი დღე გავიდა უშენოდ, ყველას დააკლდი, ყველას უყვარდი, ყველა გულწრფელად მისამძიმრებს... წახვედი მამასთან და ჩემს შვილთან, მაგრამ მე კი დამტოვეთ ყველამ მარტო... გული დამიცარიელდა, თვალები დამიშრა ტირილით, გავქვავდი დარდით, მაგრამ, დედა, ჩემზე არ იდარდო, მე ძლიერი ვიქნები, ისეთი, როგორიც შენ იყავი, ძლიერი იმიტომ, რომ ყოველთვის მიყვარდე და გაგიხსენო, არ იდარდო, ჩემს გვერდით ყოვეთვის იქნებიან კეთილი ადამიანები. ღმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი, ნათელში იყავი, მე კი სანთელსა და ლოცვას არ მოგაკლებ...**

**შენი შვილი მარინა**

**ანდრია პირველწოდებული სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა გერასიმე და მრავალრიცხოვანი მრევლი, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი აქტიური მრევლი**

**თინა შაყულაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „კაარში". თბილისი, თევდორე მღვდლის №57.
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე